ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

28 სექტემბერი, შაბათი, 1991 წ.
№ 184 (10 597) ● ფასი 10 + 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საქართველოს რესპუბლიკის სპორტული თამაშები
## რეგიონალური შეჯიბრებები

### თბილისი

### რატომ უჭირთ?

**საქართველოში**, და განსაკუთრებით მის დედაქალაქში, საასპარეზოდ მოჭიდავეთა გამოყვანა რომ ორგანიზაციას გაუჭირდება, ეს ამ ორგანიზაციის უხეირო მუშაობაზე მეტყველებს. სხვა რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა თბილისის რეგიონალურ თამაშებზე ათიდან მხოლოდ შვიდი რაიონის წარმომადგენლები გამოცხადდნენ და ორმოცამდე სპორტსმენი რის ვაი-ვაგლახით შეგროვდა. არადა, ჭიდაობის ამ სახეობაში, მოგეხსენებათ, ათი წონითი კატეგორიაა. თბილისის შარშანდელი პირველობის ვიცე-ჩემპიონმა, ვაკის რაიონის კოლექტივმა ახლა მხოლოდ ერთი მონაწილე გამოიყვანა. ისნის რაიონის ერთადერთ მოჭიდავეს, 57 კილოგრამი წონის ივანე ყუშიტაშვილს კი... მეტოქე არ ჰყავდა.

ტურნირს თავისებური ელფერი შესძინა ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონის გლდანელ გივი სისაურის და საბურთალოელ ლევან ებანოიძის მონაწილეობამ. ცხადია, სისაურს 62 კგ-ის ათლეტთა ასპარეზობაში გამარჯვება არ გასჭირვებია. ზოგიერთ სხვა წონაშიც (74, 82) მონაწილეთა სიმცირე არ იყო საგრძნობი და რამდენიმე საინტერესო ორთაბრძოლის მოწმე გახდა მცირერიცხოვანი მაყურებელი.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით: 48 კგ. ი. მანწკავა (ჩუღურეთი); 52. ე. ბედინეიშვილი (კრწანისი); 68. გ. გელაშვილი (გლდანი); 74. ზ. გობეჯიშვილი (ჩუღურეთი); 82. დ. ხაბელაშვილი. 90. ა. გოგრიჭიანი (ორ[illegible]ევე — (გლდანი); 100. გ. ახალშენაშვილი (ჩუღურეთი); [illegible] ლ. ებანოიძე ([illegible]).

გუნდურ ჩათვლაში გლდანელებმა გაიმარჯვეს. მათ 13 ქულით [illegible] ილოვეს ჩუღურ[illegible] ადგილზე [illegible]



### ვოლეიბ... — [illegible]

**ბადმინტონში**, მოგეხსენებათ, მაინცდამაინც დიდი ტრადიციები არ გააჩნიათ საქართველოს სპორტსმენებს. არც თბილისის თამაშების პროგრამით ასპარეზობამ ჩაგვისახა დიდი იმედები. ყველაზე ორგანიზებულად სამგორის, ისნისა და ვაკის გუნდები გამოვიდნენ და საპრიზო ადგილები ამ თანმიმდევრობით გაინაწილეს. პირად პირვე-

იხ. მე-2 გვ.



## მესხი წინ მიიწევს
## სენსაცია სტარტზე

**ბაიონი**. საფრანგეთის ამ ქალაქში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი. თბილისელმა ლელა მესხმა მეორე წრეშიც გაიმარჯვა — ამჯერად მან დაამარცხა ტურნირის მასპინძელი ნატალი ერმანი — 6:3 6:2.

**ბაზელი** (შვეიცარია). აქ მიმდინარე ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში უფელი ანდრეი ჩეროკასოვი მეხუთე ნომრად იყო გამთესილი. ამის მიუხედავად, მან პირველი წრის შეხვედრა წააგო ამოს მანსდორფთან (ისრაელი) 6:1, 3:6, 3:6. სტარტის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია იყო მიხაელ შტიჰის (გერმანია) მარცხი შვედ კრისტიან ბერგსტრიომთან — 3:6, 3:6.

**პალერმო**. წარუმატებლად დაიწყო სიცილიის საერთაშორისო ტურნირი ანდრეს ვისანდმა. მას სტარტზევე აჯობა იტალიელმა კლაუდიო პისტოლეზიმ — 6:2, 6:2.



## ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისათვის

# მაია ჩიბურდანიძე-სიე ჟუნი



### მშვიდობიანი დასაწყისი

**ასპარეზობის** საზეიმო გახსნაზე მაგიდას ამშვენებდა ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის მატჩის მონაწილეების, ამ ტიტულის მფლობელის მაია ჩიბურდანიძისა და მისი მეტოქის ჩინელ სიე ჟუნის ქვეყნების, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის, აგრეთვე, მასპინძელი სახელმწიფოს ალმები. მოხდა ისე, რომ საკავშირო ფედერაციასთან ხანგრძლივი დავის შემდეგ მხარეები ერთგვარ კომპრომისზე წავიდნენ. მანილაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე მაიამ ამიტომაც განაცხადა, რომ იგი იასპარეზებს საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დროშებით. პრეს-კონფერენციაზე, რომელმაც უცხოელი და ადგილობრივი ჟურნალისტების დიდი ინტერესი გამოიწვია, მაიას ისიც ჰკითხეს, მატჩისთვის მის სამზადისზე გავლენა ხომ არ მოუხდენია მოვლენებს საქართველოში. მსოფლიო ჩემპიონის პასუხი ცალსახა იყო: იგი მზადაა დაიცვას მსოფლიო ჩემპიონის ტიტული; მისგან, რა რანგის ტურნირშიც უნდა მონაწილეობდეს, უკომპრომისო თამაშს ელიან და ახლაც შეეცდება გულშემატკივრებს იმედი არ გაუცრუოს. „ჩემს გამოსვლებს განსაკუთრებით დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს თანამემამულენი. თუ როგორ მოვემზადე, მატჩი გვიჩვენებს. რაც შეეხება ჩემს მეტოქეს, მიმაჩნია, რომ იგი ერთობ ნიჭიერი მოჭადრაკეა და მძიმე ბრძოლები მელის".

პრეს-კონფერენციაზე 21 წლის პეკინელი სტუდენტი სიე ჟუნი იმედიანად საუბრობდა: „ვიცი, ასპარეზობა უშეღავათო იქნება და ამიტომაც უფრო საინტერესოა იგი. დიდ პატივს ვცემ მაია ჩიბურდანიძის 13-წლიან დადოფლობას ჭადრაკის ტახტზე, მაგრამ შევეცდები შევაჩერო საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 30-წლიანი მეუფება".

თუ მაია ამ მატჩს მოიგებს, იგი მეექვსედ მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს, რომელიც თავის დროზე ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს ჩამოართვა და ამით თავისებური რეკორდსმენიც გახდება.

მატჩის საზეიმო გახსნაზე გამოცხადდა, რომ პარტიები გაიმართება ყოველი კვირის მეორე, მეოთხე და მეექვსე დღეს. მომდევნო დღეები დაეთმობა გადადებული პარტიების დამთავრებას. ორშაბათი დასვენების დღეა. წილისყრით სიე ჟუნი თეთრი ფიგურებით ითამაშებს კენტ პარტიებში, მაია ჩიბურდანიძე კი — წყვილ პარტიებში.

ხუთშაბათს პირველი ტურის პარტია მშვიდობიანად წარიმართა და მეტოქენი დაზავდნენ. წინ კიდევ თხუთმეტი პარტიაა. შეგახსენებთ, რომ ტიტულის შესანარჩუნებლად მაია ჩიბურდანიძეს 8 ქულა ჰყოფნის, სიე ჟუნს კი ამ ტიტულის მოსაპოვებლად აუცილებლად 8,5 ქულა სჭირდება.



## მატჩები გადატანილია

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ეროვნული ჩემპიონატის 29-30 სექტემბრის და 1 ოქტომბრის კალენდარული თამაშები ყველა ლიგაში გადატანილია. ამ მატჩების გამართვის თარიღი ცალკე გამოცხადდება.

ჭაბუკთა პირველობის შეხვედრები ჩატარდება კალენდრის მიხედვით.

## „პეჟო" მოიცდის!

იმის გამო, რომ რუსთავში „მეტალურგთან" „იბერიის" 30 სექტემბრის კალენდარული საფეხბურთო მატჩი გადატანილია, ლატარიის ბილეთების რეალიზაცია არ შეწყდება. ამ ბილეთების მფლობელთათვის ფრანგული ფირმის მსუბუქი ავტომანქანა „პეჟო" და იმავე ფირმის მიკროავტობუსი გათამაშდება პირველსავე კალენდარულ მატჩზე, რომელიც გაიმართება რუსთავში.

**მსოფლიო** სპორტული სამყაროს ყურადღება ახლა ბარსელონისაკენ — 1992 წლის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქისკენაა მიპყრობილი. რაც უფრო ახლოვდება თამაშები, მით უფრო იზრდება ინტერესი ბარსელონისადმი. ყოველი ახალი ოლიმპიური თამაშები ხომ ახალი ნაბიჯია ოლიმპიური მოძრაობის სრულყოფისკენ სწრაფვის გზაზე. რა სიახლეებს შემოგვთავაზებს ბარსელონა? ძალიან ბევრს, რაზედაც „ლელოს" მკითხველს შევეცდებით ფართოდ მოვუთხროთ. 1992 წლის ოლიმპიური თამაშები უკვე იქცა განსაკუთრებულ თამაშებად თუნდაც იმიტომ, რომ საბჭოთა იმპერიიდან თავდაღწეული ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკა კვლავ დაუბრუნდა დიდ ოლიმპიურ ოჯახს. ეს ფაქტი აქ, ბარსელონაში, დიდი სიხარულით აღიქვეს, ამბობენ საგანგებო სუვენირებიც კი მზადდება ამ მოვლენასთან დაკავშირებით.

ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს იქნებ სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიც შეუერთდნენ. სხვათა შორის, როცა ამ თემაზე საუბრობენ, ბარსელონაში ხშირად ახსენებენ საქართველოს. ვნახოთ, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული თუ როგორ განვითარდება მოვლენები.

**დათო ლონლაძე**
„ლელოს" საკ. კორ.
ბარსელონა.

## ოლიმპიური ბარსელონის ახალი ამბები Barcelona'92



27 სექტემბერს აღინიშნა ტურიზმის მსოფლიო დღე

# „ჩვენ ბუნებაში ვართ, ბუნება-ჩვენშია...“

როგორც ხელისგულზე, მხილველის თვალწინ მთელი თავისი სილამაზითა და სიტურფით გაშლილა მიწისზედა საქართველო; მაგრამ არსებობს არანაკლებ წარმტაცი, უხილავი სივრცეები ზღაპრულად ჯადოსნური სამყაროსი, არსებობს საქართველოს მიწისქვეშა ლანდშაფტი, ისევე მიმზიდველი და თვალისმომჭრელი, როგორიც საქართველოს დიდი მზისქვეშეთია...

მღვიმეებისა და გამოქვაბულე[illegible] წარმატებით შეგვიძ[illegible] მომავალი თაობის აღზრდისა და ფიზიკური განვითა[illegible]ის სამსახურში, ვაქციოთ ეკო[illegible]ავლის წყაროდ. განვითარე[illegible]

[illegible] დარგების წინსვლა [illegible]პისაც, ვერ [illegible]ულ ეფექტს, თუ კომპლექსურად არ განვავითარეთ სულიერი და ეკონომიკური ცხოვრების სხვა სფეროები, თუ არ შეიქმნა მიწისზედა კომფორტული კომუნიკაციები და მძლავრი სამეურნეო ბაზა; საჭიროა პოლიტიკური და ფინანსური სტაბილიზაცია, ვინაიდან ეკონომიკურად მოუწესრიგებელ და პოლიტიკურად არეულ ქვეყანაში არავინ დაიწყებს დასვენებისათვის იდეალური კომფორტის ძებნას...

ტურიზმი, სწორედ დღეს უნდა დაგვეხმაროს გარე სამყაროსთან კონტაქტების აღდგენაში, უნდა დაგვეხმაროს მივიწყებული ტრადიციების აღორძინება-გააქტიურებაში. მან არა მარტო სახელმწიფო ეკონომიკას უნდა დაატყოს სასიკეთო კვალი, არამედ ხელი უნდა შეუწყოს დღემდე შემონახული ხალხური მხატვრული რეწვის ორიგინალური ეროვნული კულტურის აღორძინებასაც.



კარიანი კლდე. შესასვლელი.

ქართველი კაცის ნიჭისა და უნარის განვითარებას ხელს უწყობდა ის რეალური გარემო, სადაც მას უხდებოდა ცხოვრება. ამ ხელთუქმნელი ბუნების ზღაპრული სამყაროს აღქმითა და გაცნობიერებით იზრდებოდნენ თაობები. გასაოცარი ლეგენდებითა და ზღაპრებით, ცად აზიდული კავკასიონის მთებითა და ბროლის ჩანჩქერებით, ყვავილებით მოჩითული მდელოებითა და თოვლით დაფარული „კოხტაგორებით“, „კარიანი კლდეებით“ თუ ბუნებრივი, მონოლითური სვეტებით — იმერეთში, მზის ამოსვლისა და მზის ჩასვლის გორაკებით — გურიაში, სვანური „ლილეოთი“ და ლილესავით ცადაზიდული ციხე-კოშკებით, კახეთის ცისფერი ზვრებითა თუ ქართლის ტაძარ-ნატაძრალებით, „ყვირას“ მთის მასივით და ზღაპრული დრაკონივით ხახადაღებული „დემიშ ფოქვას“ მღვიმეებით — სამეგრელოში, „აბრსკილისა“ და „ახალი ათონის“, „სამერცხლე“ და „თარო“ კლდეებით, დევის ზვრელისა და საკაჟიას გამოქვაბულებზე თქმულებებით, რიონის, ცხენისწყლის, ხრამის, ძირულას, წყალწითელას, ჯრუჭულასა და ყვირილას ხეობების ისტორიული სახიზარ-სამალავებით, უხსოვარი ციხე-ქალაქით — უფლისციხით, თამარის ეპოქის 13 იარუსიანი „ცათამბჯენის“ — ვარძიის კიდეებმორღვეული კომპლექსით, კლდის ფერდობზე, ცის მახლობლად მერცხლის ბუდესავით მიშენებული ვანისქვაბებითა და მის კედლებზე მიწერილი უძველესი წარწერებით რუსთაველის უკვდავი პოემიდან, თვალუწვდენელი ზღვის ლაჟვარდებითა თუ ცისფერი ტბების კამკამა ხავერდოვნებით ანაზღაურებდნენ თაობები ზღაპრად ქცეული „დისნეილენდისა“ თუ ევროპული სტანდარტების დონის ატრაქციონების უქონლობას.

ჩვენი და ჩვენი შვილების სულისა და ფანტაზიის მასაზრდოებელი ბუნება, დაუნანებლად გაგვიწირავს მომხმარებლური მიზნებისა და მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, — სათანადო ზრუნვითა და მოვლა-პატრონობით მეტ საოცრებებს, სულიერ საზრდოსა და სარგებელს რომ გვპირდება მომავალში...

საქართველოს კარსტული მასივები იძლევიან სარეკორდო სიღრმეებში ჩაღწევის შესაძლებლობას, ულამაზესი ბუნებრივი მღვიმეების კეთილმოწყობით შეიძლება უამრავ მნახველთა მოზიდვა, მიწისქვეშა ბუნებრივი დარბაზების გამოყენება წარმატებით შეიძლება სამკურნალო მიზნებითაც, — მოზარდთა და მოზრდილთა დასვენებისა და ჯანმრთელობის განმტკიცების კერად; დიდი მოცულობისა და რიცხვმრავალი მიწისქვეშა მტკნარი წყლის რეზერვუარები, საიდანაც წყაროებად და ჩანჩქერებად გამოედინებიან წყალუხვი ნაკადები, მრავალი ქვეყნის მოთხოვნილების გათვალისწინებით, ვალუტის მოზიდვის პერსპექტივასაც გვისახავენ...

რა უდგას წინ ყოველივე ამის ხორცშესხმას?

ბუნება კვლავ მზადაა გული გადაგვიხსნას, გვემსახუროს უშურველად, მისი დაუშრობელი ძუძუ კვლავ და კვლავ მისცემს ასაღორძინებლად მის მკვიდრსა და სტუმართმოყვარე ხალხს საარსებო სტიმულებს.

როდესაც ბუნება ასე გულუხვია, არც ამ ბუნების შვილნი უნდა დარჩნენ გაურჯელნი, მათ მხოლოდ მომხმარებლად არ უნდა იცხოვრონ, როგორც იმ პირველმა შორეულმა აბორიგენებმა, რომელთა ფანტაზია და გონებრივი მექანიზმი ჯერ კიდევ ვერ სცილდებოდა ინსტიქტს თავის გადარჩენისა და ბუნებისაგან მხოლოდ მზამზარეულ ნაყოფს მოიხმარდა...

ამ ბუნებას, მტრისა და მოყვრის ინტერესებს რომ აღძრავს თავისი სილამაზით, მზრუნველი პატრონის ხელი უნდა დავატყოთ, დავიცვათ და გამოვიყენოთ, გავიცნობიეროთ მისი ამაღლებული და განუმეორებელი დიდებულება, რომ მერე სხვასაც მივცეთ მისით ტკბობისა და ამავე გარემოში მცხოვრები ადამიანების საუკეთესო თვისებების გაცნობიერების შესაძლებლობა.

**სიმონ ჯაფარიძე,**
ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი ინსპექტორი.



სათაფლიას მღვიმე. „[illegible]“ დარბაზი.



კაცხის სვეტი. ს. ჯაფარიძის ნახატი.



- საქართველოს რესპუბლიკის სპორტული [illegible]
- რეგიონალური შეჯიბრებები

(დასასრული)

ლობაში ჩუღურეთელმა ბორის სირონიანმა სამგზის მოიპოვა პირველობა — ჯერ ერთეულთა შეჯიბრების ფინალში აჯობა ისნელ ვადიმ სარქისიანს, მერე სწორედ სარქისიანთან ერთად მოიგო წყვილთა ასპარეზობა და ბოლოს, შერეულ წყვილთა ტურნირში სამგორელ ტატიანა ბოზელევასთან ერთად ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ქალთა შორის თამაშების ჩემპიონი გახდა სამგორელი გაიანე ჩახოიანი, წყვილთა შორის მან თანაგუნდელ ელენე ნეხაროშევასთან ერთად მოიპოვა უძლიერესის სახელი.

**შორენა სილაგაძე**

## მხოლოდ სამნი, გამარჯვებულიანად

**თბილისის** განათლების სამმართველოს მოზარდ ხელბურთელთა სპეციალიზებული სკოლის დარბაზმა ხელბურთელ ქალთა ტურნირს უმასპინძლა.

— სხვადასხვა მიზეზების გამო, თბილისის ათი რაიონიდან თავდაპირველად ხუთმა გამოთქვა ხელბურთელ ქალთა ტურნირში მონაწილეობის სურვილი, — გვითხრა მთავარმა მსაჯმა იური კოსტიაკოვმა. — გახსნის დღეს კი მხოლოდ სამი რაიონის: გლდანის, ნაძალადევის და სამგორის გუნდები გამოცხადდნენ. არადა, ტურნირს უნდა გამოევლინა ის სპორტსმენები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის სპორტული თამაშების ფინალებისთვის თბილისის ნაკრებს შექმნიდნენ.

ასპარეზობა წრიული სისტემით ჩატარდა. გლდანელებმა იოლად სძლიეს სამგორელებს — 43:19, რომლებიც შემდგომ დამარცხდნენ ნაძალადეველებთანაც — 8:46. გადამწყვეტი შეხვედრა გლდანისა და ნაძალადევის გუნდებს შორის საინტერესოდ წარიმართა — ამ წყვილში გამარჯვებული ხომ პირველ ადგილზე გადიოდა. გლდანელებმა გაიმარჯვეს 25:18.

**თამუნა ჯიშკარიანი**

რუსთავი ● ქვემო ქართლი

## შეჯიბრებამ „თვალებში გამოიხედა“

**როგორც** კი ასპარეზობაში მოჭიდავეები ჩაებნენ ულმობლად შეჯიბრებამ ნამდვილი სატურნირო ელფერი შეიძინა და, როგორც იტყვიან, „თვალებში გამოიხედა“. სპორტკლუბ „ფოლადის“ სარბიელი პირველებმა სამბისტებმა „მოსინჯეს“. ამ სახეობაში 44 მონაწილე გამოვიდა. „ტრადიციულ“ მეტოქეებს — რუსთავისა და გარდაბნის გუნდებს, დმანისისა და მარნეულის ფალავნებიც შეემატნენ. მოჭიდავეთა შეხვედრებისადმი ინტერესს ზრდიდა ისიც, რომ მასში არაერთი სახელოვანი ათლეტი მონაწილეობდა, კერძოდ, რამაზ ზედგენიძე, ავთანდილ ყვავილაშვილი, ზურაბ კახაბრიშვილი, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კი გამოსვლები დაამშვენეს გიორგი ფრეწუაშვილმა, გელა შეყრილაძემ და მსოფლიო თასის მფლობელმა ჭაბუკთა შორის ზაურ ივანაშვილმა.

სამბისტთა ტურნირში თავიდანვე გარდაბნელ და ადგილობრივ სპორტსმენთა შორის წარიმართა პირველობისათვის ბრძოლა. პირველ ორ წონაში (49,52 კგ) სტუმარმა ფალავნებმა იმარჯვეს — უძლიერესის წოდება ვაჟა მინესაშვილმა და მალხაზ ბედიანაშვილმა მოიპოვეს მომდევნო წონებში ხალიჩის მასპინძლებმა: მალხაზ გაგლოშვილმა (57), ნიკოლოზ ალდგომელაშვილმა (60), რამაზ ზედგენიძემ (68), ავთანდილ ყვავილაშვილმა (74) ისახელეს თავი. ამ „ორხელისუფლებიანობაში“ ჩაერია დმანისელი იოსებ გვირგვილაძე, რომელმაც არავის დაუთმო პირველობა 82 კგ. წონით კატეგორიაში. მომდევნო წონებში გაიმარჯვეს გარდაბნელმა დავით აფციაურმა (90), რუსთაველებმა — ვეფხია ავალიანმა (100) და გიორგი ნოზაძემ (115), გარდაბნელმა ზურაბ კახაბრიშვილმა (115).

გუნდური პირველობა რუსთაველ სამბისტებს დარჩათ, მეორე ადგილზე გარდაბნელები გავიდნენ, მესამეზე — დმანისელები.

შემდეგ ხალიჩა ბერძნულ-რომაული ჭიდაობის წარმომადგენლებს დაეთმოთ — იასპარეზეს რუსთავის, გარდაბნისა და მარნეულის წარმომადგენლებმა. პირველ ადგილებზე გავიდნენ: 48 კგ. მერაბ ნოზაძე (რუსთავი), მჩატე და მსუბუქ წონებში — გარდაბნელი ძმები თემურ და გიორგი ფრეწუაშვილები; 62 კობა გულიაშვილი (გარდაბანი), დანარჩენ წონებში გაიმარჯვეს — იოსებ სარაულმა, დავით კუჭაშვილმა (ორივე — რუსთავი), ზაზა ძამაშვილმა (გარდაბანი), ლევან ცაბაძემ (რუსთავი), ზაურ ივანაშვილმა (გარდაბანი), გელა შეყრილაძემ (რუსთავი).

გუნდური პირველობა: 1. გარდაბანი, 2. რუსთავი, 3. მარნეული.

„ლელოს“ სპეც. კორ. რუსთავი.

მკითხველი — გაზეთი

## სად არის ლერი ხაბელოვი?

სად არის ამჟამად მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი და ხეულის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში ლერი ხაბელოვი? ხმა გავრცელდა თითქოს იგი საცხოვრებლად ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდა.

**ვ. გვრიტიშვილი,**
თბილისი.

ლერი ხაბელოვი ამჟამად საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება და ემზადება მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად. როგორც ცნობილია, თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატი ჩატარდება ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში 3-6 ოქტომბერს.

ორიოდე დღის წინ საკდესმა გამოაქვეყნა ასეთი ცნობა „... ამ ქალაქში (ლაპარაკია ვლადიკავკაზზე) — თავისი წინაპრების სამშობლოში გადავიდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი და ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ლერი ხაბელოვი (100 კგ), რომელიც ადრე თბილისში ცხოვრობდა.“

ცოტა აჩირებული და უმადური განცხადებაა ადრე თბილისში ცხოვრობდაო. ცხოვრობდა და მეტი არაფერი? ვითომ საქართველოში არ აიდგა ფეხი ხაბელოვმა, აქ არ ისწავლა ჭიდაობა, აქ არ ჰყავდა მწვრთნელი, საქართველოს სპორტული ორგანიზაციების მხარდაჭერით არ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და ასე შემდეგ?..

გამოხმაურება

## მეორე კლასიდან...

ამას წინათ „ლელოში“ წავიკითხე წერილი „ჩრდილიდან სინათლეზე“, სადაც ბატონი დავით ფავლენიშვილი გამოთქვამს მოსაზრებას ფიზკულტურის გაკვეთილზე ჯგუფის გაყოფის შესახებ II კლასიდან. ჩემი აზრით, ეს იქნება სწორი გადაწყვეტილება, რაშიაც ალბათ სხვებიც დამერწმუნებიან. გაყოფილ ჯგუფებში სასურველია ბიჭებთან მამაკაცი მასწავლებელი შევიდეს, გოგონებთან — ქალი, ამით უფრო ავამაღლებთ გაკვეთილის ხარისხს.

ჩემთან VIII და IX კლასში 44-45 მოსწავლე მესწრებოდა გაკვეთილებზე, ახალი ელემენტის შესწავლას, ცხადია, ბიჭებით ვიწყებდი, გოგონებისთვის კი ახსნას ვერ ვასწრებდი, ზარი ირეკებოდა. თითქმის ყველგან, ყველა კლასებში ასეა, ძალიან გვიჭირს მასწავლებლებს გამოვავლინოთ ჩვენი შესაძლებლობები.

მოხარული ვიქნებით განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით ჯგუფები II კლასიდან თუ გაიყოფა.

**ჯემალ დიასამიძე,**
სპორტის ოსტატი.
ლანჩხუთის № 2 საშუალო სკოლა.

# რვალი

№9 სექტემბერი 1991


## მიზანი — სულიერი და ფიზიკური ძალების აღორძინება

### ● რას ფიქრობენ ფედერაციაში

ჩვენი უპირველესი საზრუნავია მატერიალურ-ეკონომიკური ბაზის შექმნა. გამოყოფილი ფონდი არ არის საკმარისი იმ მოცულობის სამუშაოების შესასრულებლად, რაც გვაქვს ჩაფიქრებული, — ამბობს საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ- სპორტული ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ძნელაძე. ჩვენ თავად მაინც ვცდილობთ მოვიპოვოთ დამატებითი სახსარი... რა გზებითო, გაიფიქრებს მკითხველი... ფედერაციასთან შექმნილია სამშენებლო სამმართველო, რომელიც დრო და დრო შეკვეთებსაც იღებს მოსახლეობისაგან. ამ ბოლო დროს კეთილი ადამიანებიც გამოჩნდნენ. მათ უშურველად ჩარიცხეს თანხები ამა თუ იმ სპორტული ღონისძიების ჩასატარებლად.

ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს ასი ათასი მანეთით დაეხმაროს ინვალიდ სპორტსმენებს. მომავლისათვის განზრახული გვაქვს საქმიანი კონტაქტები დავამყაროთ მეზობელი რესპუბლიკების მეწარმეებთან და შევქმნათ ერთობლივი მცირე საწარმო. ამ საწარმოში ჩვენი ინვალიდები შეასრულებენ შესაფერის სამუშაოებს. ასე, რომ, ინვალიდთა დასაქმების პრობლემა ნაწილობრივ მაინც გადაწყდება. და მაინც, ყველაფერი ეს წვეთია ზღვაში.

ფედერაცია დიდი იმედით ელოდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესახებ კანონს, სადაც ერთ-ერთი პუნქტი მთლიანად საინვალიდო სპორტის საკითხებს ეხება. განსაზღვრულია ინვალიდთა სპორტული ფედერაციის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. რაც მთავარია, ამ დოკუმენტის მიღებით საინვალიდო სპორტი დაკანონდება და რაღა თქმა უნდა, ფედერაციას უფრო მეტი გასაქანი მიეცემა, რათა ფართოდ და მრავალმხრივ გაშალოს საქმიანობა, დაამყაროს კონტაქტები უცხოეთის ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან, ხშირად მოაწყოს საერთაშორისო შეხვედრები, დაიცვას შეჯიბრებების კალენდარი. მანამდე კი...

— ოქტომბერში გაიხსნება ეტლებით რბოლის, მაგიდის ჩოგბურთისა და ცურვის სექციები, მსურველები უკვე გამოჩნდნენ...

— ახლო მომავალში ნავარაუდევია ჩატარდეს საერთაშორისო ტურნირი ეტლებით რბოლაში, მოპატიჟებულია სტუმრები დანიიდან, ჰოლანდიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ფინეთიდან, ბალტიისპირეთიდან, სომხეთიდან, ტომსკიდან და ხარკოვიდან... რბოლა, როგორც სპორტული, ისევე ოთახის ეტლებით, 15 და 5-კილომეტრიან ტრასებზე მოეწყობა.

— მომზადებულია წერილი თურქეთისა და საბერძნეთის ანალოგიურ ორგანიზაციებთან დასაკავშირებლად, რათა მოეწყოს ავტოგადარბენა. პროგრამაში შევა აგრეთვე კულტურული ღონისძიებები და სპეციალური შეხვედრები იქაურ ინვალიდ სპორტსმენებთან.

ყვალუტო გაცვლის ფორმით გერმანიიდან ელოდებიან ინვალიდ სპორტსმენთა დელეგაციას 25 კაცის შემადგენლობით... ყველა ღონისძიებას ვერ ჩამოვთვლი.

ფედერაციის ჩანაფიქრები მხოლოდ ერთ მიზანს უკავშირდება — ხელი შეუწყოს ჩვენი ინვალიდების სულიერი და ფიზიკური ძალების აღორძინებას.

ათი საუკეთესო

დავით შაკიაშვილი:

## ინვალიდებო, გამოდით გარეთ!

■ ინვალიდთა სპორტული ფედერაციის წევრი — ოქროს მედლის მფლობელი ■



ის საოცრად უბრალო, გულწრფელი და ჭკვიანია. მეც უბრალოდ და გულწრფელად მინდა მოგითხროთ მასზე.

პირველ დეკემბერს 18 წელი შეუსრულდება. თბილისში დაიბადა და გაიზარდა. 160-ე საშუალო სკოლა დაამთავრა. თითქმის თანაბრად, კარგად სწავლობდა ყველა საგანს. მასწავლებლებსა და თანაკლასელებს გამორჩეულად უყვარდათ, რადგან ბუნებისაგან დაჩაგრულს (8 წლის ასაკში გაუკეთეს დაბადებიდან განუვითარებელი მარჯვენა ხელის ამპუტაცია), არასოდეს უთხოვია შეღავათები. მარცხენა ხელით წერს, კითხულობდა და კითხულობს ბევრს, აზროვნებს შესანიშნავად. მაღალი, სიმპათიური ბიჭია, მეტყველი თვალები და ნათელი შუბლი აქვს. როგორც ყველა ახალგაზრდა, ისიც ბევრს ფიქრობს, ოცნებობს, განიცდის... წერს ლექსებს.

— ადამიანი არასოდეს არ რჩება მარტო, ის რჩება თავის თავთან და ღმერთთან, — გამოცდილი, დაბრძენებული კაცივით მეუბნება დათო.

— ეს ნამდვილად სწორია, მაგრამ საკუთარ თავთან ხშირად დარჩენას მაინც ცხოვრებასთან, ადამიანებთან ურთიერთობა ხომ არ სჯობს?..

— რა თქმა უნდა. ჩემი მდგომარეობის გამო მე ადრეულ ასაკში მეწვია პესიმიზმი, მელანქოლია... მაგრამ, აი, მოვიდა ჩემთან ალეკო მამალაძე და ჩემი მიზნები მთლიანად შეიცვალა. მისი რჩევით პირველად 15 წლისა ვმონაწილეობდი ინვალიდ მკლავჭიდელთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. მართალია, საპრიზო ადგილი ვერ დავიკავე, მაგრამ როგორც ყველაზე პატარა მონაწილეს, სპეციალური პრიზი მაინც მომანიჭეს... გასულ წელს სანკტ-პეტერბურგში გაიმართა ინვალიდთა საკავშირო შეჯიბრება სირბილში. ჩემთვის მოულოდნელად, საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელობამ ამ შეჯიბრებაზეც წარმგზავნა, საქართველოდან ოთხი სპორტსმენი ვმონაწილეობდით — ალეკო მამალაძე, ლია გოგიტიძე, გია მამაცაშვილი და მე. 20 კილომეტრი გავირბინე 2 სთ-სა და 15 წუთში. ინვალიდებს შორის ეს შედეგი საუკეთესო აღმოჩნდა და ჩემპიონატის ოქროს მედალი მომანიჭეს...

დათო იცინის, უხარია, ვგრძნობ, რომ იმ დღეების გახსენება სიამოვნებას ანიჭებს.

— ასე გავხდი ჩემპიონი და რესპუბლიკის ინვალიდ სპორტსმენთა საუკეთესო ათეულის ბინადარი... სხვათა შორის, საუკეთესო ათეულში მოხვედრას ნამდვილად არ ველოდი... ეტყობა, წამახალისეს, მეტი სტიმული მომცეს...

— დათო, მკლავჭიდი უფრო გიტაცებს თუ სირბილი?

ისევ იცინის.

— მე ახლა იმ ასაკში ვარ, ყველაფერში ვცდი ბედს — მკლავჭიდიც მიყვარს, სირბილიც, მშვილდოსნობაც, ფარიკაობაც... ამ ბოლო დროს ჩემი უფროსი დის თანაკლასელი ზაზა გაბიტაშვილი აღმოსავლურ ორთაბრძოლებშიც მავარჯიშებს.

— სად ვარჯიშობთ?

— სამწუხაროდ, ინვალიდ სპორტსმენებს საწვრთნელი ბაზა არა გვაქვს. ყველანი ინდივიდუალურად ვარჯიშობთ — ხან სად, ხან სად...

— თქვენი ფედერაცია, ალბათ, მალე ბაზის პრობლემასაც გადაჭრის, მთავარია ინვალიდმა სპორტსმენებმა ფარ-ხმალი არ დაჰყაროთ, იმედიანად იყოთ...

— ჩვენი ფედერაცია იმდენს აკეთებს და ისე ზრუნავს ჩვენზე, დარწმუნებული ვარ, ბაზაც მალე გვექნება.

— დათო, ძალიან მაინტერესებს რა აზრისა ხარ საქართველოში მიმდინარე დღევანდელ პროცესებზე?

— დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის ბრძოლამ, ჩემი აზრით, გულმოწყალება, ურთიერთპატივისცემა, თანადგომა, ადამიანში სულიერი სილამაზის ძიება დაგვავიწყა. დათმობის, პატიების, მიტევების უნარის გარეშე არაფერს ფასი არა აქვს. არ ვიცი რა მოსდის ჩვენს საზოგადოებას, როდის დავწყნარდებით, როდის დავიწყებთ პრაქტიკული საქმის კეთებას... ყოველი ადამიანი — ხელმძღვანელიც და რიგითიც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან უნდა იყოს მართალი, მაშინ მას ღმერთიც შეუნდობს და აპატიებს...

— ყოჩაღ, დათო! შენს ასაკში ბევრი საერთოდ არ ფიქრობს ქვეყნის ბედზე, ადამიანის დანიშნულებაზე... იქნებ, რაიმე რჩევა ბედისგან დაჩაგრულ ინვალიდებსაც მისცე, მარტო საქართველოში ხომ სხვადასხვა კატეგორიის 200 000-მდე (თუ მეტი არა) ინვალიდია...

— სამწუხაროდ, მართლაც ბლომად ვართ. ამ ბოლო დროს საქართველოში სულ სხვანაირად მიდის ინვალიდთა ცხოვრება: მეტი დაინტერესება, მეტი კონკრეტული ზრუნვა, მეტი დაფასება გვაქვს. მე მინდა ყველა ინვალიდს ვთხოვო (რა თქმა უნდა, ვისაც შეუძლია), გამოვიდნენ გარეთ, ნუ ჩაიკეტებიან სახლში, ნუ მიეცემიან პესიმიზმს, ცხოვრება ასეც ლამაზი და მშვენიერია... ჰო, მართლა, ძალიან მიხარია, რომ გაზეთი „რვალი" გამოდის. ინვალიდთა თანადგომის უკეთეს საშუალებას ვერც წარმოვიდგენდი, ჩვენც გაგვიცნო ქვეყანამ... მომავალში უფრო მოვეინდომებთ, საქართველოს ჩვენი ოქროს მედლებიც წაადგება...

ნამდვილად წაადგება, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, სიკეთე და სულიერი მხნეობა მოგცეს, დათო შაკიაშვილო!..

ლაშა ქობულია



## იქნებ...

## თქვენ რას იტყვით?

ჟურნალ „ზდოროვიე"-ში იბეჭდება ხოლმე იმ ინვალიდთა განცხადებები, ვისაც სურს გაიცნოს თავისი მომავალი მეუღლე. იქნებ, გაზეთ „რვალშიც" მოხერხდეს საამისოდ ერთი სვეტის გამოყოფა. დღევანდელმა სიტუაციამ ხომ დაგვანახა, რომ ქართველი ადამიანისათვის არც ისე უცხო და მიუღებელი ყოფილა გაცნობის ისეთი ფორმა, როგორიც დაამკვიდრეს უკვე მომრავლებულმა „გაცნობის კლუბებმა". ჯანსაღ, ჯანმრთელ ადამიანებს უძნელდებათ დამოუკიდებლად ცხოვრების თანამგზავრის პოვნა და წარმოიდგინეთ, როგორ გაგვიჭირდება ეს ჩვენ, ხეიბარ ადამიანებს. რა რთული დასაძლევია ჩვენთვის ის ფსიქოლოგიური ბარიერი, რომელიც ასეთ შემთხვევაში ჩნდება ხოლმე. თუ ჩემს ბედში მყოფი ადამიანები მოიწონებენ ამ წინადადებას, მაშინ იქნებ თქვენი გაზეთის რედაქციასთან შეიქმნას კარტოთეკა, სადაც იქნება ჩვენი ფოტოსურათი, ვინაობა, მისამართი, გაზეთში კი გამოქვეყნდება მხოლოდ მონაცემები და ინიციალები. მე მინდა ვთხოვო ყველა ხეიბარს, ვისაც გულისგულში კვლავ ელოლიავება ოჯახის შექმნის ოცნებას, გამომეხმაუროს, ერთად ვიფიქროთ რა სჯობს ჩვენთვის, ჩვენი მომავლისათვის. როგორ მოვიქცეთ, შევქმნათ დაუსწრებელი „გაცნობის კლუბი" ხეიბართათვის თუ არა?

ე. გ.

I ჯგუფის ინვალიდი, ქ. თბილისი




ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიქველე



ქველმოქმედება გვაწესრიგებს და გვახსენებს, რომ ამ ქვეყნაზე ადამიანები ადამიანებისათვის ვარსებობთ, რომ არა არის რა საწუთროში უფრო ღვთისმიერი, ვიდრე გარჯა მოყვასისათვის მოყვასისა.

ჩვენში ბოლო ხანებში მომრავლდა საქველმოქმედო ღონისძიებები, სხვადასხვაა მათი შინაარსი და ხასიათი, მაგრამ ერთია მიზანი — თანადგომა ადამიანებისადმი, ვისთვისაც ეს სოციალურად აუცილებელია.

... და დაიძრა ლაგოდეხისაკენ ერთ დილას საგანგებოდ გამოყოფილი ავტობუსი, ვის არ ნახავდით მის სალონში, აკადემიკოსს და პროფესორს, მკურნალებს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, მსოფლიო ჩემპიონს, ცნობილ მსახიობს თუ პრესის მუშაკებს... ლაგოდეხში მათ ელოდნენ, ელოდნენ იმედით, რწმენით და... ასისტენტები და „პატრონები" უწინარესად კი, ნუ გვიწყენენ მასპინძლები, თვით კლინიკის მედიკოსები იყვნენ, ისინი, ვინც ყველაზე უკეთ იცნობენ თავიანთ პაციენტებს. ბევრმა ავადმყოფმა იქვე მიიღო მიწვევა სტუმარ-სპეციალისტებისაგან თბილისში სამკურნალოდ თუ გამოსაკვლევად.

დიახ, იმედით, რწმენით ტოვებდნენ პაციენტები კაბინეტებს და გარდა მკურნალებისა, მადლობას უხდიდნენ ლაგოდეხის მკვიდრს ბონდო კობაძეს, ამ საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზატორს.

ღონისძიების დევიზი გახლდათ „თავისუფალ საქართველოს — ჯანსაღი ადამიანები!".

სულიერი და ფიზიკური ჰარმონია გათითკაცოებით ვერ მიიღწევა. ერთმანეთი უნდა ავიყვანოთ კაცობრიობის ამ ოდინდელ საოცნებო მწვერვალზე. ქველმოქმედებაც ამ მწვერვალისაკენ წინსვლის ღონეა.

... და შეჯიბრის დარბაზში ჰარმონიის ... „... ...". თითოეულ მათგანს წინ ედო „ბრძოლის ველი" — საჭადრაკო დაფა და ყველა მათგანი უსაზღვროდ ბედნიერი იყო, რომ „ბრძოლის ველზე" პირად და საერთო გაკვეთილს უტარებდა „ჰარმონიის სიმბოლო" — ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი. ჰარმონია დღესასწაულობდა დარბაზში მაშინაც, როცა ხალხის სათაყვანო მოჭადრაკეს და საზოგადო მოღვაწეს მიესალმა ჩვენი საყვარელი მსახიობი ქალბატონი ზინა კვერენჩხილაძე.

ჰარმონიასთან შერწყმული ქველმოქმედება ზეიმობდა იმ დღეს ლაგოდეხში...

**თენგიზ თომაშვილი**
ავტორის ფოტოები

# ლაგოდეხში ჰარმონია ზეიმობდა



მომლოდინეთა შორის იყვნენ ინვალიდები, ღვთის შვილები, ყოფით შეჭირვებულებს ბედმა იმედად მოყვასის თანადგომა რომ დაუტოვა.

კაბინეტებთან, ლაგოდეხის რაიონულ კლინიკაში ყველგან რიგი იდგა. აკადემიკოსი, მსოფლიოში აღიარებული დასტაქარი სიმონ ხეჩინაშვილი, პროფესორები შოთა ბიბილეიშვილი, გივი ბიბილეიშვილი, გიორგი ნაცვლიშვილი, კოტე მიქელაძე, შოთა სანიკიძე, პავლე ნიშნიანიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ მარტყოფნაშვილი, დოცენტი რევაზ ჩხეტია, ცნობილი სპეციალისტები თენგიზ ბაქრაძე, ციალა შურღაია, ირინე მგელაძე, ანზორ ჭიჭინაძე ხუთი საათის განმავლობაში იღებდნენ პაციენტებს,



## ევრიკა

### მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავენ გადაადგილების მოხერხებულობას

გადაადგილების მოხერხებულობის განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორებია: საბურავები, თვლები, ზომა და დახრილობა, თვლების ბაზა, მასის გადანაწილება.

**საბურავები**

საბურავის ტიპებია: უკამერო, კამერიანი და მყიფე.

რაც უფრო კარგად არის გაბერილი საბურავი, მით მცირეა მოძრაობის წინააღმდეგობა.

**თვლების ზომა**

თვლების ზომა განსაზღვრავს ენერგიის ხარჯვის სიდიდეს საქისრებში. ადამიანის სხეულის სიმძიმით გამოწვეული დაწოლა განაპირობებს ხახუნს საქისრებში. მოცემულ მანძილზე მით მეტი ენერგია დაიხარჯება, რაც უფრო მეტ ბრუნს გააკეთებს თვალი.

გადაადგილებისას პატარა ბორბალი გაცილებით მეტ ბრუნს აკეთებს, ვიდრე დიდი ბორბალი. აქედან გამომდინარე, სასურველია, ეტლი ისე იყოს გაწყობილი, რომ პატარა თვლებზე ნაკლები იყოს დაწოლა.

წინა ბორბლების ტიპებია: საკალათბურთო (პატარა, მყიფე), პატარა (12,5სმ) და დიდი (20 სმ).

**თვლების განშლა**

საერთო ეფექტია: ეტლი მიდის პირდაპირ, მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობს დახრილ ზედაპირზე. თვლების განშლა ხელს უწყობს დამოუკიდებელ გადაადგილებას.

# ვინ შეკაზმავს ეტლს?

●

**განვაგრძობთ ჩვენს საუბარს**

●




ხელით მოძრაობა არის ბუნებრივი, დაუძაბავი, თავისუფალია ყოველგვარი დატვირთვისაგან და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გამორიცხულია ტრავმის საფრთხე კედლის სიახლოვეს მოძრაობისას თუ კარში შესვლისას.

**მანძილი თვლებს შორის**

წინა და უკანა თვლებს შორის მანძილი განსაზღვრავს მობრუნების სიძნელეს. რაც უფრო ახლოა ერთმანეთთან წინა და, უკანა თვლები, მით უფრო ადვილია ეტლის მობრუნება. ეტლის ასეთ განწყობას ერთი უპირატესობაც აქვს — იგი უფრო მოკლე ხდება და მოსახერხებელია მცირე ფართობზე მოძრაობისას.

**სიმძიმის განაწილება**

რაც უფრო მეტია დაწოლა უკანა თვლებზე და ნაკლებია წინა თვლებზე, მით უფრო იოლია გადაადგილება.

**სიმძიმის ცენტრის მდებარეობა გამჭოლი ცენტრის მიმართ**

რაც უფრო დიდია A-ს სიგრძე, მით უფრო მდგრადია ეტლი და მით უფრო ნაკლებია მისი უკან გადაყირავების ალბათობა. მაგრამ ასეთი ეტლი ძნელად მანევრირებს, რადგან მძიმეა მისი წინა ნაწილი.

რაც უფრო მოკლეა A-ს სიგრძე, მით უფრო ნაკლებმდგრადია ეტლი და მით უფრო მეტია მისი უკან გადაყირავების ალბათობა. მისი ერთადერთი ღირსება ის არის, რომ წინა ნაწილის სიმსუბუქის გამო ეტლი იოლად გადაადგილდება.

**სიმძიმის ცენტრისა და ეტლის სიმაღლის ურთიერთმიმართება**

თუ სიმძიმის ცენტრი მაღლა მდებარეობს, ეტლი არამდგრადია, თუ დაბლა — მდგრადი. ამის შესაბამისად იცვლება ეტლის უკან გადაყირავების ალბათობა. როცა სიმძიმის ცენტრი დაბლა მდებარეობს, ეტლის მდგრადობა უკანა ორ ბორბალზე ადვილად კონტროლირდება. ასეთნაირად გაწყობილ ეტლზე დაჯდომა თავდაპირველად შიშის გრძნობას იწვევს, მაგრამ ერთი-ორი კვირის ვარჯიშის შედეგად შიში ქრება, ინვალიდი უკვე რწმუნდება, რომ საკუთარი სხეულით შეუძლია ეტლის მდგრადობის რეგულირება და უკან გადაყირავების საფრთხის თავიდან აცილება. თავდაპირველად უკანა ბორბლები უნდა ეყენოს შეძლებისდაგვარად წინ, ხოლო დროთა განმავლობაში, შეგუების შემდეგ, უნდა გადაადგილდეს მაქსიმალურად წინ, რამდენადაც ამის საშუ...ს იძლევა ინვალიდის ფიზიკურ... ...ძლებლობები.

თუ ...ერესათ ეტლის გადაკეთების ...ულმა მეთოდმა, ნულარ დაყოვ... რაც შეიძლება სწრაფად შეუდ...აქმეს, რადგან ამით თქვენ ბევრ... ...ბესებთ მდგომარეობას.

● **გიორგი ... ძე,**
ჩვენი სპეც...რი
კორესპონდენტი,
I ჯგუფის ინვალიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპეციალური ოლიმპიური თამაშების მიზნები და ამოცანები

სპეციალური ოლიმპიადა (Special Olympics) თავისი არსით მართლაც რომ „სპეციალურია" თანამედროვე სპორტის ისტორიაში. იგი მიჩნეულია უდიდეს მოვლენად, რომელმაც სავსებით წარმოაჩინა ადამიანური ბუნების საუკეთესო თვისებები.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ 1963 წლის ივნისში იუნის კენედი-შრივერმა (ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი პრეზიდენტის ჯონ კენედის დამ) მერილენდში, თავის სახლში გახსნა საზაფხულო ბანაკი გონებადაქვეითებული ბავშვებისათვის, რათა გამოეკვლიათ მათი შესაძლებლობები ფიზკულტურულ-სპორტული შემოქმედების პროცესში. ეს გახდა ბიძგი იმისა, რომ 1964-88 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში კომუნალურ და კერძო ორგანიზაციებს გაეხსნათ ასეთი ტიპის საზაფხულო ბანაკები, რომლებსაც აფინანსებდა კენედების ოჯახი.

ბანაკების მუშაობის პროცესში დადასტურდა, რომ გონებადაქვეითებული პირების ფიზიკური შესაძლებლობები ალემატება მეცნიერების მიერ ადრე დადგენილ მონაცემებს.

როდესაც იუნის კენედი-შრივერი დარწმუნდა, რომ გონებადაქვეითებულ ადამიანებს ძალუძთ უფრო ფართოდ ჩაებან სპორტულ წვრთნა-შეჯიბრებებში, მან გადაწყვიტა მოეწყო სპეციალური ოლიმპიადა და აი, 1968 წლის 19-20 ივნისს მისი ინიციატივით ჩიკაგოში ჩატარდა სპეციალური ოლიმპიადის პირველი საერთაშორისო თამაშები, სადაც მონაწილეობდა ამერიკის 26 შტატისა და კანადის 1000 სპორტსმენი. იმავე წლის დეკემბერში კი სპეციალური ოლიმპიადა დაფუძნდა როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია.

1971 წლის დეკემბერში ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიურმა კომიტეტმა ოფიციალურად სცნო სპეციალური ოლიმპიადა და მისცა უფლება ეტარებინა სიტყვა „ოლიმპიური". ოლიმპიური კომიტეტის მიბაძვით ამერიკის შეერთებული შტატების სპორტულმა ასოციაციებმა და ფედერაციებმა გამოთქვეს სურვილი სპეციალურ ოლიმპიურ ორგანიზაციაში თანამშრომლობისა. სპეციალური ოლიმპიური თამაშების ორგანიზება დადგა სახელმწიფოებრივ დონეზე. მილიონობით ტელემაყურებელი ხედავდა, სპეციალური ოლიმპიური თამაშების მომზადებასა და ჩატარებაში როგორ მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები: ფორდი, კარტერი, რეიგანი, ბუში, აგრეთვე, სახელგანთქმული პიროვნებები: მუჰამედ ალი, ბარბრა სტრეიზანდი, დევიდ ფროსტი, ფრანკ ჯიფორდი და მრავალი სხვა.

1977 წლის 5-11 თებერვალს კოლორადოს შტატის ქალაქ სტიმბურგ-სპრინზში ჩატარდა ზამთრის პირველი სპეციალური ოლიმპიური თამაშები, სადაც მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 500-ზე მეტი სპორტსმენი.





1988 წლის თებერვალში ზამთრის XV ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩიმ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლითაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ოფიციალურად დაამტკიცა და აღიარა საერთაშორისო სპეციალური ოლიმპიური თამაშები.

საერთაშორისო სპეციალურმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დაარსებიდან დღემდე ჩაატარა 8 ზაფხულის, 4 ზამთრის და 2 ევროპული სპეციალური ოლიმპიური თამაშები. ამ კომიტეტის დროშის ქვეშ გაერთიანებულია 80 ქვეყანა, წევრობის სურვილი გამოთქვა კიდევ 18 ქვეყანამ.

სპეციალური ოლიმპიური თამაშები წარმოადგენს საერთაშორისო მოძრაობას, რომელიც წვრთნის, შეჯიბრებებში მონაწილეობით აძლევს საშუალებას გონებადაქვეითებულ ადამიანებს წარმოაჩინონ თავიანთი ადამიანური პოტენციალი, განავითარონ ფიზიკური შესაძლებლობები.

სპეციალური ოლიმპიადის სპორტულ ჯგუფებში ვარჯიში და შეჯიბრებებში მონაწილეობა ყველა გონებადაქვეითებულ ადამიანს შეუძლია 8 წლის ასაკიდან.

წლეულს მარტში შეიქმნა საქართველოს სპეციალური ოლიმპიური თამაშების კომიტეტი, რომლის ორგანიზებაში დიდი წვლილი მიუძღვის ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტულ ფედერაციასა და მის პრეზიდენტს გიორგი ძნელაძეს. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ჯანო ბაგრატიონი.

საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტი დიდ იმედს ამყარებს ქართველი კაცის თანდაყოლილ უნარზე ქველმოქმედებისა, თანადგომისა, უშურველად გაღებისა და სწამს, რომ საქართველოს საზოგადოებრიობა უნუგეშოდ არ მიატოვებს იმ ადამიანებს, რომლებსაც ბედმა ბავშვობიდანვე ინვალიდობა არგუნა. სწამს, რომ შეუქმნის მათ ყოველგვარ პირობას სოციალური რეაბილიტაციისათვის ფიზკულტურისა და სპორტის მეშვეობით.



თეიმურაზ მიქიაშვილი,
საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი.

■ ■ ■ ■

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის ანგარიშზე-სპეციალური ოლიმპიადისათვის.

# მე შენ მიყვარხარ!

გთავაზობთ ედუარდ გოლდერნესის კიდევ რამდენიმე წერილს.

* * *

...მე დავბრუნდი. ახლა იმ ქალაქიდან გწერთ, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ...

აქ ჩემი სიცოცხლისმოყვარეობისა შურთ, შურთ, რომ ჩემთან სახლში უამრავი სტუმარია... და ვერავინ ხვდება, თუ რად მილირს მე ჩემი ოპტიმიზმი...

ორად-ორი თხოვნა მაქვს თქვენთან.

პირველი: გწამდეთ, თქვენ ისეთი ხართ, როგორსაც მე გხედავთ და არა ისეთი, სხვებსაც და თქვენ თვითონაც რომ გგონიათ.

მეორე: უმორჩილესად გთხოვთ, ყველაზე მეტად ჩემი გჯეროდეთ.

გწამდეთ, არ არსებობს თქვენს მიერ ჩადენილი საქციელი, რომელსაც მე ვერ გავიგებ და ვერ გავიზიარებ.

...არ მეგულება ადამიანი, რომელსაც სიცოცხლე ჩემსავით უყვარდეს...

მარად თქვენი ედუარდი
თბილისი, 15.6.66

* * *

ხანდახან მეჩვენება, რომ ჩემმა გრძნობამ თქვენდამი განვითარების მწვერვალს მიაღწია. მაგრამ არა! — მწვერვალამდე ჯერ შორსაა.

თქვენი წყალობით მე ახლა ვიცი, რომ ქალს ნამდვილი მეგობრობა შეუძლია... ყოველი შეხება თქვენთან, სულ მცირედიც კი, ჩემთვის სიცოცხლის მომგვრელია.

თქვენ — „ჩემი ნაწილი ხართ მზისა — დედამიწაზე". თქვენს გამო ყველაფერი მელამაზება და მეხალისება ქვეყნად.

ჩვენ ხომ ერთნაირი ხედვა გვაქვს და ერთნაირად ვჭვრეტთ საგნებსა და მოვლენებს. ჩემთვის უძვირფასესია თქვენი სულიერი სამყარო. მადლობელი ვარ, რომ ამ განძს მაზიარეთ.

„მხოლოდ შეყვარებულს აქვს უფლება ადამიანად იწოდოსო" — უთქვამს ბლოკს. მე ამ სიტყვების აზრს მას შემდეგ ჩავწვდი მხოლოდ, რაც თქვენ გაგიცანით...

ე. გ.
თბილისი, 1966 წელი

* * *

„რატომ გიყვარვართ?" „რატომ მაინცდამაინც მე გჭირდებით?" „რატომ არ გეშინიათ იმ ტკივილისა, რომელსაც მე დროდადრო ჩემდა უნებურად გაყენებთ?" „რატომ გსურთ თქვენი სიცოცხლე მე მომიძღვნათ?" „რატომ ცდილობთ ჩემს სულიერად დახვეწასა და გაკეთილშობილებას."

შევეცდები გიპასუხოთ, რაც არცთუ ისე იოლია. ამისათვის მთელი ჩემი ცხოვრება უნდა გადაგიშალოთ. უნდა დაწვრილებით გიამბოთ, თუ როგორია ჩემი სამყაროსეული აღქმა, მსოფლმხედველობა... ოდესმე ჩვენ ამ თემაზეც ვისაუბრებთ ალბათ, მაგრამ ვერ დაგპირდებით, რომ ეს მალე მოხდება. ჯერ ხომ ავადმყოფი ვარ.

მე თქვენ უკვე გესაუბრეთ ბუნებაში არსებული საყოველთაო კავშირების შესახებ... მახსოვს, საუბარი თქვენთვის ერთდროულად გასაგებიც იყო და გაუგებარიც. სამყაროსთან ურთიერთობა კი შეუძლებელია ცალკეულ ადამიანთა კონტაქტების გარეშე. თქვენთან ურთიერთობა კი ჩემთვის უსასრულობასთან შერწყმის ტოლფასია. ალბათ, ესაა სიყვარული...

მოდით, ახლა ცივი გონებით განვსაჯოთ. ნუთუ არავინაა ქვეყნად თქვენზე ლამაზი? რამდენიც გნებავთ იმდენია; თქვენზე ჭკვიანი? — უამრავი; თქვენზე კეთილი, პატიოსანი, შრომისმოყვარე, თავაზიანი და ასე შემდეგ იმდენია, რამდენიც გაგიხარდებათ. ასე არ არის, განა?

მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩემთვის თქვენ ყველაზე ლამაზი, კეთილი, ჭკვიანი და კარგი ხართ. რადგანაც სხვებში ამ თვისებების განსულიერებას ვერ ვამჩნევ. ხოლო თქვენში ყველა ეს თვისება ცოცხლობს და არა მარტო თქვენში, ჩემშიაც.

მართალია, თქვენ ერთი პატარა, სუსტი და ცოდვილი არსება ხართ (თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ), მაგრამ ჩემი აზრით, ძალიან ძლიერი. თქვენ მე მშვენიერის და ამაღლებულის რწმენას მინერგავთ და ეს მშვენიერი და ამაღლებული თქვენშია. თქვენ ჩემთვის სიცოცხლის, სიყვარულის და სამყაროს განსახიერება ხართ.

არ ვიცი, გასაგებად ვამბობ თუ არა...

სიამაყის გრძნობა არ მაძლევს დაკნინების და დაცემის უფლებას და ვერასოდეს დავმორჩილდები ისეთ წვრილმან რამეს, ტკივილი რომ ჰქვია. რას მიქვიან ტკივილი, როცა ცხოვრება აქტიურობისაკენ მომიწოდებს.

* * *

ღამით ცუდად გავხდი, ძალიან ცუდად... და შემეშინდა. ეს ის მდგომარეობაა, როცა სიკვდილთან პირისპირ დგახარ და სიცოცხლეს ებღაუჭები. გეშინია, რომ ველარ შეძლებ იმის კეთებას, რასაც აკეთებდი და ვინ იცის, კიდევ რამდენ რამეზე გწყდება კაცს გული. საშინელებაა იმის განცდა, რომ უბრალოდ წახვალ ამ ქვეყნიდან, თითქოს არც ყოფილხარ არასდროს... ვერ დაუტოვებ ადამიანებს შენი სითბოს და სიყვარულის ნაწილს. და ამ დროს ეჭვიც კი გეპარება იმაში, სჭირდებოდა თუ არა, საერთოდ, შენი სიყვარული ვინმეს?

და მიუხედავად ყველაფრისა, სულაც არ არის საშიში სიკვდილი მათთვის, ვისაც ნამდვილი სიყვარულის ძალა განუცდია. თუმცა, ძნელია, როცა სიყვარული ცალმხრივია. ამიტომ როგორმე ობიექტურად უნდა შეაფასო საკუთარი ძალები. ამისთვის კი ჭკუაა საჭირო, რომელიც მე არასდროს გამაჩნდა. ბრძენი არასდროს ვყოფილვარ, შეყვარებული კი ვიყავი. ჰოდა, ასეთი დამიმახსოვრეთ.

11. VIII. 67



უცხოეთის გამოხმაურება

## ინვალიდი ახალგაზრდები სწავლობენ სირბილს

ეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ხდება: გამოცდილი ინვალიდი მორბენლები ეხმარებიან ინვალიდ სტუდენტებს. თავდაპირველად ისინი სწავლობენ სიარულს მოკლე მანძილზე — დარბაზში, შემდეგ გადიან გარეთ — პარკში და დარბიან ერთი ფარნიდან მეორემდე.

ინვალიდ მორბენალთა გუნდი „აქილესი" ჩამოაყალიბა ცნობილმა დიკ ტრაუმმა („აქილეს თრეკ" კლუბის დამაარსებელი). თვითონ დიკ ტრაუმმა საავტომობილო კატასტროფაში დაკარგა მარჯვენა ფეხი, მაგრამ არ დამორჩილდა ბედს და სირბილი დაიწყო ხელოვნური ფეხით, შემდეგ კი... წელი არ გასულა ისე, რომ მას მარათონულ რბენაში არ მიეღოს მონაწილეობა. იგი ასე ხსნის „აქილეს თრეკ" კლუბის მიზანს: „ჩვენი მიზანია გავამხნევოთ ხეიბარი ადამიანები... ისინი პირველად ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყებენ სირბილს".




### დაგეგმილი ხუთი ნაბიჯი

დიკ ტრაუმი ამბობს: „მათი ნამდვილი უუნარობა არის არა თვით სიბრმავე ან სხვა რამ ნაკლი, არამედ ამ მდგომარეობისადმი შეგუება. ამიტომ ისინი უნდა გამხნევდნენ, ფიზიკური წვრთნის მეოხებით იპოვონ საკუთარი „მე". სტუდენტებმა უნდა გაიარონ 5 ნაბიჯი (იგულისხმება ხუთი პროცესი): პირველი ნაბიჯი — ოცწუთიანი რბენა. რბენის დამთავრების შემდეგ ისინი მიიღებენ აქილეს T მაისურს. მეორე ნაბიჯი — რბენა ორ მილზე, ჯილდოT მაისურია. მესამე ნაბიჯი — შემაჯამებელი შეჯიბრი „გოთა ჰევ ფარქ" 3 მილზე ცენტრალურ პარკში. ჯილდო T მაისური და სარბენი ფეხსაცმელი.

მეოთხე ნაბიჯი იქნება ახალგაზრდა მამაკაცთა ქრისტიანული ასოციაციის მიერ მოწყობილი შეჯიბრი მილზე სირბილში. ისინი, ვინც ფინიშამდე მივლენ, მიიღებენ პრიზებს, წარჩინების მოწმობებს ან მედლებს.

მეხუთე ნაბიჯი იქნება მარათონული წვრთნა, რომელშიც ჩაებმებიან ის ნიჭიერი სტუდენტები, რომლებიც მარათონის ჩატარებისას 16 წლისანი იქნებიან (16 წელი მინიმალური ასაკია, რომელიც დაწესდა 26-მილიანი გადარბენისათვის).

ტრაუმი ბედნიერია, როდესაც ხედავს ხეიბარი სტუდენტების ვარჯიშის შედეგებს და ხედავს მათ გამოცოცხლებას, გახალისებას, მათი შესაძლებლობების ზრდას.

ტრაუმი ხშირად ეუბნება სტუდენტებს: ნავარჯიშები ხეიბარი ახალგაზრდა უფრო შეძლებს დაფაროს „გრძელი მანძილი", ვიდრე უვარჯიშებელი „ჯანმრთელი ადამიანი".

ტრაუმის აზრით, „თუ ხეიბრები ბეჯითად ივარჯიშებენ, მიაღწევენ წარმატებებს და ეს წარმატებები მათი ცხოვრების სხვა სფეროშიც გამოვლინდება. ისინი გამოსცდიან დიდ სიხარულს... ახალგაზრდები, რომლებიც სისტემატურად ირბენენ, ემოციურად და ფსიქოლოგიურად გაძლიერდებიან, ისინი იქნებიან კარგად განვითარებულები, ექნებათ მოქნილი მხარ-ბეჭი, ისეთი, როგორც აქვთ ჯანმრთელ, ნავარჯიშებ ადამიანებს. მათ მოექცევიან უკეთესად, ისინი გამოცდიან შეჯიბრების დაწყების და დამთავრების სიხარულს.

ტრაუმი თვლის, რომ უმრავლესობას ექნება დადებითი თვალსაზრისი ცხოვრებაზე, მედგრად შეხვდება და გადალახავს ყველა წინააღმდეგობას, რომელიც შეხვდება ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ტრაუმს სჯერა, რომ სირბილი არის ერთადერთი სპორტი, რომელშიც ძლიერ დაზიანებულ ინვალიდებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეჯიბრების დასაწყისში ვერ მიაღწევენ დიდ წარმატებებს, სამაგიეროდ, სისტემატური წვრთნა დიდ თერაპიულ გავლენას მოახდენს მათ სულიერ სამყაროზე.

„მე ვგრძნობ, რომ სირბილი გადაიქცევა ხეიბარ ადამიანთა გამორჩეულ სპორტად" — ასკვნის ტრაუმი.

პუბლიკაცია მომზადდა „დეილი ნიუს"-ის მიხედვით.

სურათზე: „აქილეს თრეკ" კლუბის დამაარსებელი დიკ ტრაუმი ნელი ჩორთით დარბის ცერებრალური დამბლის მსხვერპლთან მაიკლ ჯონსონთან ერთად.

ერთიანი ბიბლიოთეკა

დაუჯერებელი

## გინესის წიგნიდან

### ყველაზე ძვირადღირებული კბილი

1816 წელს ლონდონში გაიყიდა ყველაზე უფრო ძვირადღირებული კბილი. ეს იყო სერ ისააკ ნიუტონის (1643-1727) კბილი, რომლის საზღაურადაც მისმა ახალმა მფლობელმა 730 ფუნტი სტერლინგი გადაიხადა. მან კბილი ბეჭდის თვლად გამოიყენა და მერე მთელი სიცოცხლე მუდმივად ატარებდა.

* * *

### სიგნალების გადაცემა ნერვების მეშვეობით

1966 წელს ჩატარებულმა ექსპერიმენტების შედეგებმა გვიჩვენა, რომ ადამიანების ნერვული სისტემით ყველაზე სწრაფი სიგნალები გადაიცემა საათში 288 კილომეტრის სიჩქარით. ასაკის მომატებასთან ერთად იმპულსების გადაცემა 15%-ით მცირდება.

* * *

### ყველაზე ხანდაზმული აჩრდილები

აჩრდილები უკვდავნი არ არიან. მიჩნეულია, რომ ისინი ქრებიან 400 წლის შემდეგ. ყველაზე ხანდაზმული აღმოჩნდნენ რომაელ ჯარისკაცთა აჩრდილები, რომელთა მსვლელობის შესახებ იორკმინსტერის ხაზინის სარდაფებში სამგზის განაცხადეს ხაზინის თანამშრომლებმა. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ინგლისში რომაელთა შემოჭრის შემდეგ უკვე ცხრამეტი საუკუნეა გასული.

* * *

### მიუნხჰაუზენის სინდრომი

მიუნხჰაუზენის სინდრომის სახელწოდებით ცნობილი განუკურნებელი დაავადების ექსტრემალურ შემთხვევად ითვლება 1906 წელს დაბადებული უილიამ მაკილროის თავსდატეხილი ამბავი. მიუნხჰაუზენის სინდრომის დროს ადამიანს აქვს გამუდმებული მოთხოვნილება მკურნალობისა და ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნისა და აი, უილიამ მაკილროიმ თავისი „პაციენტობის" 30 წლის განმავლობაში ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს გადაუხადა დაახლოებით ერთი მილიონი ფუნტი სტერლინგი — გაიკეთა 23 სერიოზული ოპერაცია, იწვა 68 საავადმყოფოში 22 სხვადასხვა გვარს ამოფარებული. საავადმყოფოებს შორის უილიამ მაკილროის მიერ გატარებული ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი 6 თვეს არ აღემატება.

* * *

### პაციენტი, რომელიც ყველაზე დიდხანს ავადმყოფობდა კიბოთი

კალიფორნიის შტატის ქალაქ ლონგ ბიჩის მცხოვრებმა, 1876 წლის 22 ოქტომბერს დაბადებულმა ქალბატონმა ვინონა მილდრედ მელიკმა კიბოთი დაავადების გამო გადაიტანა ოთხი ოპერაცია — 1918, 1933, 1966 და 1968 წლებში. იგი 1981 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა... პნევმონიით, მისი დაბადების 105 წლისთავიდან სულ რაღაც 67 დღის გასვლის შემდეგ.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართია: 380007
ი. მაჩაბლის ქუჩა № 11
ტელეფონები: 93-28-92. 98-13-73. 93-98-75

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით
ქსს გამოთვლით ცენტრში, ტელეფონი 35-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### I ჯგუფი

### VIII ტური

„შევარდენი" (ზუგდიდი) — ფიზკ. ინსტ. (თბილისი) 5:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (ხურამი). გოლები: ქარჩავა-2, გურჩუა, ტიბუა, ბარალეი („შევარდენი"), ძაგანია (ფიზკ. ინსტ.).

„მადაროელი" (ჭიათურა) — „დურუჯი" (ყვარელი 5:2). მსაჯი დ. ხანაია (სოხუმი). გოლები: ბრეგვაძე-2, მწყერაშვილი-2, სევასტოპულო („მადაროელი"), ლობჟანიძე, ღვინიაშვილი („დურუჯი").

„ივერია" (ხაშური) — „იმერეთი" (ხონი) 8:0. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი). გოლები: ტოგონიძე, წიკლაური, რობაქიძე.

„გურია-2" (ლანჩხუთი) — „ეგრისი" (სენაკი) 2:1. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი). გოლები: ნარიაშვილი-2 („გურია-2"), ივანიშვილი („ეგრისი").
გააფრთხილეს: გ. ქაჩიბაია, ნ. ნოდია (ორივე — „ეგრისი").

„კახეთი" (თელავი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 3:0. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი). გოლები: ჰვრიტიძე, კილასონია-2.
გააფრთხილეს თ. სორდია („სამეგრელო").

„მეშახტე" (ტყიბული) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 2:1. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი). გოლები: გენძეხაძე, ფანჩულიძე („მეშახტე"), უკლება („საპოვნელა").
გააფრთხილეს: მ. წითელაშვილი, გ. ხუჯაძე (ორივე — „საპოვნელა").

„მუქურა" (ქობულეთი) — „არაგვი" (დუშეთი) 5:0. მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი). გოლები: ლონდაძე-2, კედელაძე, ანანიძე, გორგილაძე.
გააფრთხილეს: მ. ვახტანგიშვილი („არაგვი"), ა. ანანიძე („მუქურა").

„ჩიხურა" (საჩხერე) — „არმაზი" (მცხეთა) 2:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი). გოლები: ასათიანი, თურმანიძე.
გააფრთხილეს: კ. ბალაბანოვი, ზ. ძაგნიშვილი („არმაზი"), ა. ასათიანი („ჩიხურა").

## ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბი „სამეგრია" 10-14 ოქტომბერს აწყობს მოგზაურობას მოსკოვში. (გარანტირებულია ავიაბილეთები, სასტუმრო, კვება და 12 ოქტომბერს ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე სსრკ-იტალია დასასწრები ბილეთები). საგზურის ღირებულება 495 მანეთია. მსურველებს გთხოვთ მობრძანდეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 30 სექტემბერს, 1 და 2 ოქტომბერს, 1 კორპუსი, აუდიტორია 93. 14-15 საათამდე.

კლუბის გამგეობა

## ბელორუსიის ფეხბურთის პერსპექტივები

ბელორუსიელებს სურთ დაიწყონ დამოუკიდებელი საფეხბურთო ცხოვრება და ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას აპირებენ. რესპუბლიკაში საკმარისი რაოდენობითაა ოსტატთა გუნდები, იმართება ჭაბუკთა საინტერესო შეჯიბრებები „ბროლის თასზე". ვარაუდობენ, რომ აქაური დამოუკიდებელი ჩემპიონატი შეძლებს საკუთარი სახსრებით აინაზღაუროს ხარჯები.

ბელორუსიის ეროვნული ჩემპიონატის მომხრეებს განზრახული აქვთ კალენდარული მატჩები გამართონ მხოლოდ ოთხშაბათობით, რათა გულშემატკივრებსაც და სპორტსმენებსაც საშუალება ჰქონდეთ სურვილისამებრ გამოიყენონ უქმე დღეები. რაც შეეხება ოსტატობის საერთო დონეს, თამაშის კლასს, ბელორუსიელები იმედოვნებენ, რომ პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობისათვის ფართო გზა გაეხსნებათ ახალგაზრდა პერსპექტიულ ფეხბურთელებს.

## 25:0 და საპატიო პრიზი

სასიხარულო ცნობა ოდესიდან: აქ გამართულ ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირში თავი ისახელეს სპორტის დამსახურებული ოსტატის მ. მესხის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის „ავაზას" 1976 წელს დაბადებულმა ჭაბუკებმა, რომლებმაც 11 გუნდთან პაექრობაში ბურთების საუკეთესო სხვაობით (25:0) პირველი ადგილი და სამახსოვრო თასი მოიპოვეს.

თბილისელებმა თანმიმდევრულად დაამარცხეს მოსკოვის — 5:0, კიევის — 3:0, სევასტოპოლის — 7:0, ნიკოპოლის — 5:0, ტიუმენის — 5:0 გუნდები. ფინალურ შეხვედრაში კი ავაზელებმა მასპინძლებს — ოდესელ თანატოლებს აჯობეს — 1:0.

ამ წარმომადგენლობით ტურნირზე დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზები. 9 გატანილი გოლით ბომბარდირი გახდა გიორგი ბერიკაშვილი, საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს ლევან ცქიტიშვილი. კარგი თამაშით თავი გამოიჩინეს: მამუკა მესხმა, მალხაზ ქვანიამ, დათო მჭედლიძემ, ჯონი კვენეტაძემ, სოლომონ ლუჯაშვილმა. გამარჯვებული გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადა როლანდ კიზირიამ.

ამავე სკოლის 1975 წელს დაბადებულმა ჭაბუკებმა მესამე ადგილი დაიკავეს მახაჩყალაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 12 გუნდი გამოდიოდა. ამ ასაკის ფეხბურთელებს რომან მელიქიძე ავარჯიშებს.



სურათზე: ოდესის ტურნირში გამარჯვებული თბილისის „ავაზას" 1976 წელს დაბადებულ ჭაბუკთა გუნდი.

## ევროპის ჩემპიონატი

განვლილ ოთხშაბათს გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები.

I ჯგუფი. ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში ფრიად მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ამ ქვეყნისა და ესპანეთის გუნდების შეხვედრა. საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიშით — 2:0 გამარჯვება მოიპოვეს ისლანდიელებმა.

გათამაშების ცხრილი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 15-4 | 12 |
| ჩეხოთ. სლოვ. | 6 | 4 | 0 | 2 | 9-6 | 8 |
| ესპანეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 14-9 | 4 |
| ისლანდია | 7 | 2 | 0 | 5 | 6-7 | 4 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 1-19 | 2 |

III ჯგუფი. საბჭოთა კავშირის ნაკრები მოსკოვში შეხვდა უნგრეთის ეროვნულ გუნდს. თამაშის დასაწყისში დაწინაურდნენ უნგრელები (ბურთი გაიტანა კაპრიხმა) ანგარიში გაათანაბრა შალიმოვმა, შემდეგ წინ მასპინძლები გავიდნენ (კანჩელსკისი), მაგრამ იმავე კაპრიხმა, რომელიც ჰოლანდიის „ფეიენორდში" გამოდის წერტილი დაუსვა ანგარიშს — 2:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 6 | 4 | 2 | 0 | 10-2 | 10 |
| ნორვეგია | 6 | 3 | 1 | 2 | 8-4 | 7 |
| უნგრეთი | 7 | 2 | 3 | 2 | 10-9 | 7 |
| იტალია | 5 | 2 | 2 | 1 | 9-4 | 6 |
| კვიპროსი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-20 | 0 |

წინა დღით, მოსკოვში, ასევე შესარჩევი ტურნირის პროგრამით ერთმანეთს შეხვდნენ ამავე ქვეყნების ოლიმპიური გუნდები. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა, ბურთები გაიტანეს შჩერბაკოვმა და რადჩენკომ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-8 | 6 |
| იტალია | 4 | 3 | 0 | 1 | 8-6 | 6 |
| ნორვეგია | 4 | 2 | 1 | 1 | 11-4 | 5 |
| უნგრეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 1-7 | 1 |

IV ჯგუფი. შვეციის ქალაქ ლანდსკრუნაში გაიმართა დანიისა და ფარერის კუნძულების გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს დანიის ფეხბურთელებმა — 4:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 6 | 5 | 0 | 1 | 20-4 | 10 |
| დანია | 6 | 4 | 1 | 1 | 13-6 | 9 |
| ჩრდ. ირლან. | 6 | 1 | 3 | 2 | 6-8 | 5 |
| ავსტრია | 5 | 1 | 1 | 3 | 5-7 | 3 |
| ფარერის კუნ. | 7 | 1 | 1 | 5 | 3-22 | 3 |

## ტაი-ცი ციუანი

## აღმოსავლეთში შემლაშერი სუნთქვის ოსტატობა

„ყოველი არსი შეიცავს: „ინს" და „იანს". ავსილია „ცით" და: დიადი თანხმობით".

ლაო ძი

ვინც დამოუკიდებლად, ჩვენი პუბლიკაციების მიხედვით ვარჯიშობს ტაი-ცი ციუანის სახეობებით (მარტოხელა, წყვილური, მახვილიანი), ალბათ უკვე დაებადა კითხვა, თუ როგორ შევახამოთ სქემებზე მოცემული მოძრაობები ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორთან, როგორიცაა სუნთქვა. რასაკვირველია, მოვარჯიშე დასაწყისში ვერ დააკავშირებს და ვერ შეახამებს მოძრაობებსა და სუნთქვას ისე, როგორც ამას ტაი-ცი ციუანის ტრადიცია მოითხოვს. „სუნთქვა" ანუ „სუნთქვითი მუშაობა" (ანუ „ცი-გუნი") წარმოადგენს საფუძველს, რომელიც იძლევა საშუალებას მივაღწიოთ სრულყოფას გაჯანსაღებასა და საბრძოლო ხელოვნებებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცნება „სუნთქვა" ჩინელებს უფრო ღრმა გაგებით ესმით, ვიდრე ევროპელებს. ტაი-ცის ჩინელი მასწავლებლები საუბრობენ ტანში რაღაც „ფლუიდთა ცირკულაციაზე", რომელთა მოძრაობის ტრაექტორია განისაზღვრება სპეციფიკური ფსიქო-ფიზიოლოგიური ოპერაციებით.

ტაი-ციში მოვარჯიშის კუთხიდან (და მისი სრულყოფის დონის გათვალისწინებით) ზემოთ აღნიშნული „ფლუიდი" წარმოადგენს ან „პარადოქსალური სუნთქვის ნაყოფს", ან ცი-ენერგიას, ანდა, საბოლოოდ, — მათ ნაჯერს.

დასაწყისშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტაი-ცი ციუანში მოვარჯიშემ უნდა ძირეულად შეცვალოს ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის მექანიზმი: „მკერდისმიერი", მკერდით სუნთქვა უნდა გადაიქცეს „მუცლისმიერ", ანუ მუცლით სუნთქვად („მუცლისმიერ" სუნთქვაში ძირითადად მექანიკური მუშაობა სრულდება დიაფრაგმის აწევა-ჩამოწევის მეოხებით) და „მკერდისმიერი" სუნთქვა უნდა დაიყვანოს მინიმუმამდე.

ტაი-ცი ციუანში პირველ ეტაპზე აუცილებელია გამოვიმუშაოთ ნელი და ჭეშმარიტად წყნარი, „ბუნებრივი" სუნთქვა: ამისათვის საჭიროა წარმოვიდგინოთ, რომ ჩასუნთქვის დროს ენერგია -ცი თავის ქალის კინკრიხოდან (ჩჟენ-ციუ-თერაპიის წერტილი-„ბაი-ხუეი") „დან-ტიენში", ანუ სხვანაირად მუცლის ქვედა ნაწილის შუაში („დან ტიენი" ანუ „ქვედა ელექსირის ზონა" იმყოფება ჭიპის დონეზე 7-8 სმ-ით შიგნით, ე. ი. ჭიპსა და თირკმელებს შორის ზონაში. სხვა წყაროებიდან „დან-ტიენი" მდებარეობს ჭიპის 3-6 სმ-ით ქვემოთ); ამასთან ერთად მუცლის კედელი შეიწევა შიგნით, რათა შემსუბუქდეს დიაფრაგმის აწევა. ხოლო ამოსუნთქვის დროს მუცელი ფართოვდება, გამოიწევა გარეთ, რათა დიაფრაგმას შეეძლოს ქვევით ჩამოსვლა. ამ სუნთქვას უწოდებენ „პარადოქსალურს". ამასთანავე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სუნთქვა „დნება" დან-ტიენში, შეერევა რა იქ მყოფ ენერგია ცი-ს.

ამნაირი „პარადოქსალური" სუნთქვის შეხამება ტაი-ცის მოძრაობებთან, რასაკვირველია, ძნელია და ამიტომ მკითხველებს ვთავაზობ მოიქცნენ შემდეგნაირად:

ა) აითვისეთ მარტო წინა პუბლიკაციებში მოცემული ტაი-ცი ციუანის მარტოხელა, წყვილური და მახვილის ფორმები, დაჯერდით ნელ, მოწესრიგებულ და ღრმა „მკერდისმიერ" სუნთქვას. ამასთანავე ტანი უნდა იყოს მთლიანად მოდუნებული და სუნთქვა სრულებით თავისუფალი.

ბ) შეუხამეთ, „შეაკავშირეთ" სუნთქვა ტაი-ცის მოძრაობებს, რისთვისაც გამოიყენეთ შემდეგი პრინციპები:

— ამოსუნთქვა შეასრულეთ ხელების გაშლისა და ჩამოშვების დროს;

— ჩასუნთქვა შეასრულეთ ფეხების გაშლისას (მაგალითად, მარტოხელა ფორმაში „ფეხის აცილების დროს" ასევე ხელების მოხრისა და აწევის დროს.

ამ პრინციპების გამოყენებისას გახსოვდეთ, რომ მთავარია მოვარჯიშის პირადი შეგრძნება: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოვარჯიშემ უნდა შეინარჩუნოს შინაგანი კომფორტის შეგრძნება და უცვლელი რიტმი.

გ) ამასთან ერთად, უნდა ივარჯიშოთ — „პარადოქსალურ" („მუცლისმიერ") სუნთქვაში, გამოიყენებთ რა ქვემოთ მოცემულ ერთ-ერთ თქვენთვის მისაწვდომ მდგომარეობას:

— დაჯექით სკამზე, კორპუსი გაასწორეთ და „დან-ტიენთან" ხელები გააჯვარედინეთ;

— დაწექით, გაასწორეთ ზურგი და ფეხები, ამასთანავე ხელის მტევნები დაიდეთ მუცელზე თითებით „დან-ტიენისაკენ";

— დაჯექით „ლოტოსის" პოზაში (მარცხენა ტერფი მარჯვენა ბარძაყზე, მარჯვენა-მარცხენაზე), დაიდეთ ხელები მუხლებზე ნებებით ზემოთკენ.

ამ ვარჯიშთა შესრულების დროს გონება აშკარად უნდა იყოს დარწმუნებული „დან-ტიენის" რეალურ არსებობაში. ენა სასაზე მივიდოთ და სუნთქვა შევასრულოთ ცხვირით. მუცლის კედლის მოძრაობათა ამპლიტუდა და დიაფრაგმის მოძრაობა არ უნდა იყოს დიდი; ყოველგვარი დაძაბულობა კატეგორიულად მიზანშეუწონელია. ცი-ენერგიისა და სუნთქვის შერევა ერთ მთლიანობად ხორციელდება ჩვენი გონებით. ამის შედეგად მიღებული ნარევი ერთიანდება „პერვოც"-თან („ნაჩუქარი „სუნთქვა"), რომელიც ჩანასახში ცირკულირებს მის დაბადებისამდეა.

დ) მხოლოდ ამის შემდეგ, გამოიყენებთ რა ზემოთ ათვისებულ პრინციპებს, საჭიროა, შეუხამოთ „პარადოქსალური" („მუცლისმიერი") სუნთქვა ტაი-ცი ციუანის მოძრაობებს, რათა მივაღწიოთ „დან-ტიენის" არეში სითბური წყაროს წარმოშობის ინტენსიურ შეგრძნებას.

თუკი ასე ვიმუშავებთ — მოცემული პრინციპების დაცვით, ყურადღებით და განუწყვეტლივ ორი წლის განმავლობაში, ჩვენ განსაცვიფრებელ შედეგებს მივაღწევთ.

თუმცაღა, ისიც აღსანიშნავია, რომ ეს არ წარმოადგენს ტაი-ცი ციუანის ვარჯიშთა საბოლოო მიზანს: ეს დონე მოგვცემს საშუალებას, შევუდგეთ ათვისებას, (სწავლის გზას), შიგა საბრძოლო ხელოვნებების რთული სახეებისა, რომლებიც ასევე დაფუძნებული არიან აქავე თვითშეგონების მექანიზმზე.

ე. წ. „ხანგრძლივი" („გრძელი") სუნთქვა დაკავშირებულია ცი-ენერგიის მოძრაობასთან შემდეგ ტრაექტორიებზე (სურ. 1):

**ამოსუნთქვა:** — ჩჟენ-ციუ-თერაპიის „ბაი-ხუეის" წერტილი—შუბლი—ლოყები—სასაზე მიჭერილი ენის წვერო —წინა შუალედია მერიდიანის (ჟენ-მაი-ს) წერტილი ლავიწებს შორის („ჩენ-ციანი") — „დან-ტიენი".

**ჩასუნთქვა:** — პაერა შეიწოვება „დან-ტიენში" (წარმოვიდგინოთ, რომ „დან-ტიენში" „ჩაყენებული" გვაქვს პატარა მილი).

„პატარა ციკლის" სუნთქვაში გამოიყენება „მიმართვითი სუნთქვის" მეთოდი: ამოსუნთქვაზე მუცელი იბერება, ამასთანავე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ „დედის" მიერ ბავშვისთვის გადასაცემი ენერგია-ცი (რომელიც კონცენტრირებულია კუჭის დასაწყისში), ჩამოდის „დან-ტიენში". ჩასუნთქვის დროს ხდება ენერგია ცი-სა და სუნთქვის არევა „დან-ტიენში".

საერთოდ, ენერგია ცი მოძრაობს შემდეგი ტრაექტორიით (სურ. 2):

**ამოსუნთქვა:** — ისევე, როგორც „ხანგრძლივი სუნთქვის დროს", მხოლოდ საწყის წერტილად ითვლება ენის ბოლო.

**ჩასუნთქვა:** — ჩჟენ-ციუ-თერაპიის წერტილი „ხუეი-ინიდან" (რომელიც მდებარეობს პენისის ფუძესა და ანუსს შორის) —უკანა შუალედა მერიდიანი, დუ-მაი რომელიც მიედინება ხერხემლის დასაწყისიდან კეფისაკენ, კინკრიხოსაკენ და შუბლზე გავლით ზედა ტუჩებამდის (სურ. 2) — თავის ქალას კეფა (თხემი) — ჩჟენ-ციუ-თერაპიის კინკრიხოს წერტილი „ბაი-ხუეი" —შუბლი—ლოყები—სასა—ენის ბოლო.

„დიდ (ორბიტულ) ციკლში" ასევე იყენებენ „მიმართვით სუნთქვის" მეთოდს, ხოლო ცი-ენერგია მოძრაობს უფრო გრძელ კონტურზე (სურ. 3):

**ამოსუნთქვა:** — იგივე პრინციპით სრულდება, რაც „პატარა ციკლში". მხოლოდ გრძელდება მისი ტრაექტორია, იწყება რა ჩჟენ-ციუ-თერაპიის წერტილ „ხუეი-ინში"—შემდეგ მუხლებისაკენ — ფეხების დიდ თითისაკენ—ფეხის გულისაკენ.

**ჩასუნთქვა:** — ფეხის გულიდან— ფეხების გარე ნაწილი — ანუსი— უკანა შუალედა მერიდიანი (დუ-მაი) — შემდეგ, როგორც „პატარა ციკლში", — ენა.

და ბოლოს, ჩვენს მიერ აღწერილი მეთოდის უმაღლეს სტადიას წარმოადგენს — „მთლიანი სუნთქვა", ამ შემთხვევაში „დან-ტიენის" არეში ვითარდება ძლიერი ვიბრაცია, თან ახლავს სითბოს გამოსხივება, რომელიც იწყებს მთელ ტანში გავრცელებას და ამის შემდეგ არავითარი ავი სენი და - ავადმყოფობა აღარ აწუხებს ადამიანს. მისი ნებისყოფა, გონება, ენერგია ცი და სხეული ქმნიან ერთიანობას, რომელიც უთანაბრდება „ჩანასახის უკვდავების" ფორმას; იგი აბსოლუტურ ჰარმონიაშია გარემომცველ სამყაროსთან და კოსმოსთან...

...შემდეგ პუბლიკაციებში გავაგრძელებთ საუბარს როგორც ტაი-ცი ციუანის მარტოხელა, წყვილურ და მახვილის ფორმების შემდგომ მოძრაობებზე, ისე მოძრაობების, გონებისა და სუნთქვის შერწყმაზე...




იური უეინაშვილი,
სპეციალურად „ლელოსათვის".

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა



1991 წლის 21 სექტემბერი. იგოეთში გამართული ქართული ჭიდაობის ზეიმი-შეჯიბრება წმინდა მარიამ ღვთისმშობლის დღეს მიეძღვნა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟი

## კიდევ ერთხელ...

ამჯერად მესამედ, გაითამაშებენ ძალოსნები ჩვენი გაზეთის პრიზს. ასპარეზობა დღეს, 15 საათიდან დაიწყება თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე. შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის მოწვეულნი არიან რესპუბლიკის ყველა რეგიონის საუკეთესო ათლეტები. მათ შორის საქართველოს ნაკრების ის წევრებიც, რომლებმაც ხუთიოდე დღის წინ ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე ისახელეს თავი — იქ კი სარბიელზე გასული ჩვენი ექვსი ათლეტიდან ხუთი გამარჯვებული დაგვიბრუნდა და ერთმაც მეორე ადგილი დაიკავა.

„ლელოს" პრიზის გათამაშებას, ფაქტობრივად, მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია უძღვება. მისმა პრეზიდენტმა თამაზ მდინარაძემ გვაცნობა, რომ საქართველოს სპორტული თამაშების რეგიონალური ტურნირები ყველგან დასრულდა და იმ ასპარეზობებში დაწინაურებულთათვის ეს ორდღიანი შეჯიბრება ძალების უკანასკნელი შემოწმებაც იქნება რესპუბლიკური თამაშების ფინალის წინ.

ტურნირის მონაწილეებისათვის დაწესებულია ორი მთავარი პრიზი — 500-500 მანეთი ქალთა და ვაჟთა შეჯიბრებებში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგებისათვის. მაგრამ ყველაფერი ამით როდი ამოიწურება — საგანგებო ძვირფას საჩუქრებს მიიღებს ყველა, ვინც კი საქართველოს ან საერთაშორისო რეკორდის დამყარებას შეძლებს.

შეჯიბრების პროგრამაშია 36 სახეობა. მაყურებლები შაბათს და კვირას იხილავენ დების: ნინო და მარინა ონაშვილების, თამარ შანიძის, ელვირა ურუსოვას, ამბროსი მათიაშვილის, იოსებ შავერდაშვილის, გელა ვეშაპიძის, მერაბ ყურაშვილის, დიმიტრი ანტონოვის, დიმიტრი ჩუკაროვის, ლერი ჩიტაიშვილის, ვასილ მახარაძის და სხვათა გამოსვლებს.

ერთხელაც შეგახსენებთ: ასპარეზობა დღეს დაიწყება 15 საათზე, უკვე ერთი საათის მერე კი გამოვლინდებიან პირველი პრიზიორები. ხვალ შეჯიბრება დილით, ცხრისნახევრიდან განახლდება, 12-13 საათისთვის გულშემატკივრებს უკვე ეცოდინებათ მთავარი პრიზების მფლობელთა ვინაობა.

## მონიკა სელეში — ჯიმი კონორსი

1992 წლის მარტში ლას-ვეგასის ჩოგბურთელთა უჩვეულო ორთაბრძოლის მოწმე გახდება: ერთმანეთს შეხვდებიან 1991 წლის აშშ-ს ღია ჩემპიონატში გამარჯვებული იუგოსლაველი მონიკა სელეში და ამ ტურნირის ნახევარფინალისტი, უბერებელი ჯიმი კონორსი.

მამაკაცი და ქალი კორტზე, ერთ მატჩში! იმისათვის რომ ეს შეხვედრა არ ჩაიშალოს, დაინიშნა საკმაოდ სოლიდური ჰონორარი — 1 მილიონი დოლარი, რომელსაც მთლიანად გამარჯვებული მიიღებს.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ მატჩი არ ჩაიშალოს. ქალთა მაქსიმალურად გათანაბრების მიზნით, კონორსს ერთი მოწოდების უფლება ექნება, სელეშს კი, ჩვეულებრივად, ორისა. გარდა ამისა, კონორსს თავის დაცვა მოუხდება მთელს მოედანზე (წყვილთა სათამაშო ზონაში), იმ დროს როცა სელეში ითამაშებს მხოლოდ ერთეულებისთვის განკუთვნილ ზონაში. მენეჯერებმა უკვე დაიწყეს ამ უპრეცედენტო მატჩის დეტალების განხილვა.

თუმცა რატომ უპრეცედენტო? როგორც კი გამოქვეყნდა ცნობა ამ ორთაბრძოლის შესახებ, სტატისტიკოსებმა მაშინვე გაიხსენეს, რომ 17 წლის წინ ანალოგიურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ბილი-ჯიმ კინგი და ბობი რიგსი. მაშინ გამარჯვება მშვენიერთა სქესის წარმომადგენელს ხვდა, ამჯერად კი...

## ...და კიდევ ჯარიმა 21 მილიონი დოლარი

**ნიუ-იორკი.** როგორც ჟურნალი „თაიმი" იუწყება, ნოემბრისთვის დანიშნულ მატჩში მსოფლიო ექსჩემპიონი კრივში მაიკ ტაისონი მონაწილეობას ალბათ ვერ მიიღებს. ტაისონს ბრალად ედება „მის შავი ამერიკის" კონკურსის ერთ-ერთი მონაწილის, 18 წლის გოგოს გაუპატიურება. ამას გარდა, კონკურსის ორგანიზატორმა მორის ანდერსონმა მოითხოვა მოკრივის დაჯარიმება 21 მილიონი დოლარით. ამ თანხით განსაზღვრა მან კიდევ სხვა თერთმეტი მონაწილის „სქესობრივი შეურაცხყოფა".

„თაიმის" კორესპონდენტის აზრით, ის, რაც ამ მოკრივეს შეემთხვა, სავსებით ლოგიკურია. ტაისონი ადრეც გამოირჩეოდა ალვირახსნილი ხასიათით და ზნეობრივი დაცემულობით, მაგრამ მაშინ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი იყო და საზოგადოება ყველაფერს პატიობდა. დუგლასთან მარცხის შემდეგ კი ამერიკამ ჩათვალა, რომ ტაისონი რიგითი ადამიანია და უნდა იცხოვროს ისე, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი ცხოვრობს.

## რეიკიავიკი: პირველი ტურნირი

**მსოფლიო** ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი დაწინაურდა ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის მეორე გათამაშების პირველ ტურნირში, რომელმაც 16 მონაწილეს მოუყარა თავი. მესამე ტურში მხოლოდ ერთი პარტია დარჩა დაუმთავრებელი: მსოფლიო ექსჩემპიონმა გადადო შეხვედრა ვალერი სალოვთან. დანარჩენ 7 დუელში მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. დაზავდნენ: ალექსანდრე ბელიავსკი და ისლანდიელი იოჰან ჰიარტარსონი, ალექსანდრე ხალიფმანი და უნგრელი ლაიოშ პორტიში, ამერიკელი ბორის გულკო და ინგლისელი ჯონათან სპილმენი, იუგოსლაველი ლიუბომირ ლიუბოევიჩი და ინგლისელი მაიკლ ჩანდლერი, ვასილი ივანჩუკი და იან ელვესტი, შვედი ულფ ანდერსონი და ჰოლანდიელი იან ტიმანი, ამერიკელი იასერ სეირავანი და იუგოსლაველი პრედრაგ ნიკოლიჩი.

სამი ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. კარპოვმა დაამარცხა სალოვი, მოაგროვა 2,5 ქულა და ხელთ იგდო ლიდერობა. სალოვს, ლიუბოევიჩსა და ჩანდლერს 2-2 ქულა აქვთ. ანდერსონს, ივანჩუკს, ხალიფმანს, ნიკოლიჩს, პორტიშს, სეირავანსა და ელვესტს — 1,5-1,5. თითო ქულით მე-12—მე-16 ადგილებს იყოფენ ბელიავსკი, გულკო, ტიმანი, სპილმენი და ჰიარტარსონი. გუშინ გათამაშდა მეოთხე ტურის პარტიები.

შეგახსენებთ, რომ თასის მეორე გათამაშების პროგრამაში სულ ხუთი ამგვარი ტურნირია, გამარჯვებულის ვინაობა კი ცნობილი გახდება 1993 წლის დამლევს.

## ინფორმაცია

**ბერლინი.** საინფორმაციო ბიულეტენმა „თაიმ ოლიმპია ინფორმეიშენმა" საინტერესო სტატისტიკური ცნობები გამოაქვეყნა ოლიმპიადისწინა წლის სპორტულ შედეგებზე. მხედველობაში მიიღეს 179 შეჯიბრების მაჩვენებლები 13 ოლიმპიურ სახეობაში და მათ საფუძველზე შეადგინეს უძლიერესი ქვეყნების რეიტინგი.

ამ არაოფიციალურ კონკურსში პირველობისთვის იბრძოდნენ გერმანიის, საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის წარმომადგენლები. აქამდე ჩატარებულ შეჯიბრებათა შედეგების გათვალისწინებით, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მსოფლიო ჩემპიონატებში, რეგიონალურ ტურნირებში, მსოფლიო თასების გათამაშებებსა და სხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებებში განაწილდა შემდეგნაირად:

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| გერმანია | 30 | 26 | 38 |
| საბჭოთა კავშირი | 28 | 31 | 29 |
| აშშ | 27 | 26 | 19 |
| ჩინეთი | 16 | 11 | 12 |

## ლატარია „სპრინტის" მოყვარულთათვის

**სპორტული** ლატარიების რესპუბლიკური საწარმო შეგახსენებთ, რომ მთავრდება 3 მანეთად ღირებული ლატარია „სპრინტის" რეალიზაცია. ბილეთები მინიმუმამდეა დაყვანილი, მაშინ, როდესაც დარჩენილია შემდეგი მოგებები:

ავტომანქანა ვოლგა „გაზ-24-10" — 1 ცალი.

ჟიგული „ვაზ 21-05" — 2 ც.

ზაპოროჟეცი „ზაზ-968" — 3 ც.

**ფულადი მოგებები:**

**25.000 მანეთი — 4.**

**10.000 — 8.**

**5.000 — 6.**

**1000 — 5.**

ხცადეთ, იქნებ ბედმა გაგიღიმოთ.

„საქსპორტლოტო"

## „სპორტპროგნოზი"

### რესპუბლიკური სპეციტირაჟი

„რ-2" შედეგები

1—1, 2—1, 3—2, 4—1, 5—1, 6—1, 7—X, 8—1, 9—1, 10—1, 11—1, 12—1, 13—2.

**შენიშვნა:** მატჩის ჩატარების ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით მე-13 წყვილის შედეგი განსაზღვრულია წინასწარი წილისყრით.

### 38-ე ტირაჟის შედეგები

**(20—22 სექტემბერი)**

1—2, 2—2, 3—1, 4—2, 5—1, 6—1, 7—2, 8—1, 9—1, 10—1, 11—X, 12—1, 13—1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს. თამაშის გადატანასთან დაკავშირებით მე-9 წყვილის შედეგი განსაზღვრულია წილისყრით.

რედაქტორი

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

„ლელოს" რედაქცია განუცხადებლად წერილებს ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის პრესის კანონით.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე, კორექტორები: ც. ჩიტიშვილი, ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, გ. კოსტავას, 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სპორტი — 93-97-53
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„ნუგზარ" — 93-97-20, „მარათე" — 93-97-27

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380096, თბილისი, გ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, ხაგაზეთო კომბინატი, მარჯანიშვილის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.